



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

30 დეკემბერი 2024



N 749/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „აი ჯი ენერჯის“ მდინარე მულხურაზე 40.2 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „აი ჯი ენერჯის“ (ს/კ 404989937) მიერ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 27 აგვისტოს (წერილი N8673) წარმოდგენილ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე მულხურაზე 40.2 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N481/ს 29.08.2024), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზმ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2023 წლის 23 ივნისს შპს „აი ჯი ენერჯის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილი იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „აი ჯი ენერჯის“ მდინარე მულხურაზე 45 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N22; ბრძანება N429/ს 23.08.2023).

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (N21/11138 და N21/12848), შპს „აი ჯი ენერჯის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (N11113, N11114 და N12022), კერძოდ: ჰესის ინფრასტრუქტურის სახელმწიფო ტყის ტერიტორიის საზღვრებში არსებობის, მდ. მულხურას ხეობის დისტანციური მეტეოროლოგიური სადგურისა და ღვარცოფულ-წყალმოვარდნის პროცესების ჩასახვის წინასწარი შეტყობინების სისტემის საჭიროების შესახებ ინფორმაცია, სალექარის გარეცხვის პერიოდულობა, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაინტერესებული საზოგადოების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებზე განმარტებები, მყარი ნატანის ანგარიში, მაქსიმალური ხარჯის სიდიდე, მინიმალური ჩამონადენის ანგარიში და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულ იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანებები N668/ს 22.11.2024, N715/ს 19.12.2024), დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

ანგარიშში წამოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა, ფუჭი ქანების განთავსების ალტერნატივა, ჰესის ტიპისა და ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილმდებარეობების ალტერნატივები. ჰესის ტიპის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევას (რეგულირებადი ჰესი, კალაპოტური ტიპის ჰესი, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ჰესი) გათვალისწინებულ იქნა საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და მიკროკლიმატზე ზემოქმედების საკითხები, რომლის შედეგად უპირატესობა მიენიჭა ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. სადერივაციო სისტემის (გვირაბი, ღია ან დახურული არხი, სადაწნეო მილსადენი) ტიპის შერჩევა მოხდა გარემოს არსებული მდგომარეობისა და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით და უპირატესობა მიენიჭა სადერივაციო გვირაბის მოწყობას. ჰესის ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზისა და ურთიერთშედარების შედეგად (პირველი ალტერნატიული ვარიანტი - სადერივაციო-სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის განთავსება მდ. მულხურას მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე; მეორე ალტერნატიული ვარიანტი - სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის განთავსება მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროს ფერდობზე 1361.5 და 1247.7 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე; მესამე ალტერნატიული ვარიანტი - სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის განთავსება მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროს ფერდობზე 1361.5 და 1220.5 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე) გათვალისწინებულ იქნა გარემოსდაცვითი, ტექნიკური და ეკონომიკური საკითხები. კვლევის შედეგების მიხედვით, პირველი ვარიანტის განხორციელება მიუღებლად ჩაითვალა, რადგან მოსალოდნელია მეწყრული და ეროზიული პროცესების გააქტიურების მაღალი რისკები, ასევე გავლენის ზონაში მოექცევა საცხოვრებელი უბნები და გვირაბის გაყვანის შემთხვევაში, დასახლებულ პუნქტებზე ზემოქმედება იქნება მაღალი. მე-3 ალტერნატიული ვარიანტი ხასიათდება გარემოზე ზემოქმედების შედარებით ნაკლები რისკებით, შესაბამისად უპირატესობა მიენიჭა მე-3 ალტერნატიულ ვარიანტს.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში, დაბა მესტიის, ლენჯერისა და ლატალის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიებზე, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. საპროექტო ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება - 40.2 მგვტ, ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება - 151.2 გვტ/სთ. ჰესის საანგარიშო წყლის ხარჯია 36.5 მ³/წმ, ეკოლოგიური ხარჯი - 2.2 მ³/წმ. საპროექტო ჰესის ძირითადი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტებია: ძალური კვანძი, სადერივაციო გვირაბი და სათავე ნაგებობა, რომლის შემადგენლობაში იქნება: დაბალზღურბლიანი დამბა, გვერდითი ტიპის წყალმიმღები, სალექარი და თევზსავალი.

ჰესის ინფრასტრუქტურა მოეწყობა მდ. მულხურას ხეობაში, ზღვის დონიდან 1361.5 მ და 1220.5 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-314310; Y-4767830 - სათავე კვანძი; X-308492; Y-4765283 - ძალური კვანძი, სადერივაციო გვირაბის საწყისი და საბოლოო წერტილების მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია X-314167.48; Y-476777.83. X-308537.14; Y-4765230.95. საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურიდან (სათავე კვანძი) უახლოესი დასახლებული პუნქტი (დაბა მესტია) მდებარეობს 25 მეტრის დაშორებით.

ანგარიშის თანახმად, მდ. მულხურაზე სათავე წყალმიმღები კვანძის მოწყობა დაგეგმილია ზღვის დონიდან 1361.75 მ ნიშნულზე (დამბის თხემის ნიშნული). სათავე ნაგებობის განთავსების კვეთში მდინარის კალაპოტის სიგანე დაახლოებით 10 მეტრია და მდინარე მოედინება კლდოვან კანიონში. წყალმიმღების შემადგენლობაში იქნება: დაბალზღურბლიანი დამბა; თავისუფალი გადადინების (პრაქტიკული პროფილის) წყალსაგდები; ორი გვერდითი ტიპის წყალმიმღები ნაგებობა; სალექარი, ფსკერული წყალგამშვები (გამრეცხი არხი), თევზსავალი და თევზამრიდი. წყალმიმღების განთავსება გათვალისწინებულია მდინარის მარცხენა ნაპირზე და შედგება ორი ღიობისაგან (სიგანე 3 მ, ხოლო სიმაღლე 4.4 მ). წყალმიმღების ღიობები აღჭურვილი იქნება მსხვილი და წვრილი გისოსით და საკეტებით. წყალსაგდები დამბის სიმაღლე მდინარის კალაპოტის ნიშნულიდან იქნება 7.75 მ, ხოლო საძირკველიდან

12.25 მ. დამბის სიგანე შეადგენს 18 მ-ს. მდინარის მარცხენა სანაპიროს მხარეს, წყალმიმღებსა და წყალსაგდებ დამბას შორის დაგეგმილია ფსკერული წყალგამშვების განთავსება, რომელიც აღჭურვილი იქნება 4 მ სიმაღლისა და 4 მ სიგანის მქონე ვერტიკალური საკეტი. ანგარიშის მიხედვით, სათავე ნაგებობიდან გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის გამოყენებით, კაშხლის ზღუდარსა და თევზსავალს შორის, გათვალისწინებულია 170 კვტ სიმძლავრის მცირე ზომის კაპლანის ტიპის ეკოტურბინის დამონტაჟება, საპროექტო ხარჯით 2.05 მ³/წმ, რომელიც თევზსავალთან ერთად უზრუნველყოფს ეკოლოგიური ხარჯის უწყვეტ რეჟიმში გატარებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სათავე კვანძთან ჰესის მიერ შეგუბებული წყლის სარკის ზედაპირის ფართობი ნორმალური შეტბორვის პირობებში იქნება 1483 მ², მაქსიმალური შეტბორვის - 2118 მ², კატასტროფული შეტბორვის - 2635 მ².

თევზსავალი აღჭურვილი იქნება 50 აუზით, თითოეულ აუზს შორის წყლის დონეთა სხვაობა იქნება 0,20 მ, აუზების შიდა სიგრძე - 1.9 მ, სიგანე - 1.2 მ, საანგარიშო სიღრმე - 0,7 მ, დონეთა სხვაობა ზედა და ქვედა ბიეფებს შორის იქნება 10 მ. თევზსავალში გატარებული იქნება 0.15 მ³/წმ ხარჯი. წყალმიმღებზე დაგეგმილია ელექტროიმპულსური ტიპის თევზამრიდის მოწყობა.

სალექარის მოწყობა დაგეგმილია, მდინარის მარცხენა სანაპიროს პირველ ტერასაზე არსებულ ტერიტორიაზე. სალექარი გათვლილია 0,2 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნაწილაკების დალექვისთვის, სიგრძით 70.5 მ, სიგანით - 41.5 მ, სალექარის საპროექტო ხარჯია 36.5 მ³/წმ. სალექარი შედგება 6 სექციისაგან, სალექარის სექციების გარეცხვა მოხდება მონაცვლეობით, კერძოდ: შესაძლებელი იქნება 3 სექციის გარეცხვა 3 სექციის მუშაობის პირობებში, ასევე შესაძლებელი იქნება 1 სექციის გარეცხვა და 5 სექციის მუშა მდგომარეობის შენარჩუნება. სალექარის სექციების გაწმენდა მოხდება ნალექის დაგროვების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, გარეცხვის ინტენსივობა შედარებით მაღალი იქნება გაზაფხულ-ზაფხულის წყალუხვობის პერიოდებში. ამ პერიოდში სალექარის გარეცხვა საჭირო იქნება კვირის განმავლობაში 2-3 ჯერ, ხოლო უხვი ატმოსფერული ნალექების შემთხვევაში ყოველი წყალდიდობის შემდეგ. ზამთრის წყალმცირობის პერიოდში, სალექარის გარეცხვა საჭირო იქნება თვეში ერთხელ ან ორჯერ.

ჰესის წყალმიმღებისა და სალექარის გავლის შემდეგ, მდინარიდან აღებული წყალი გადავა სადერივაციო გვირაბში, რომლის სიგრძე იქნება 6800 მ. გვირაბი განთავსდება მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროს ქედის სიღრმეში. გვირაბიდან მიწის ზედაპირამდე დაცილების მაქსიმალური სიღრმე იქნება 293 მ, ხოლო მინიმალური 50 მ. გვირაბის შესასვლელი პორტალის ზღურბლი მდებარეობს ზღვის დონიდან 1354.8 მ ნიშნულზე, გამოსასვლელი პორტალის ნიშნულია - 1244.9 მ. გვირაბის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X-314167.48, Y-476777.83, X-308537.14, Y-4765230.95. ანგარიშის მიხედვით, გვირაბის გაყვანა მოხდება ბურღვა-აფეთქების მეთოდით. ძალური კვანძის მიმდებარედ გვირაბის მშენებლობისათვის და ექსპლუატაციის ეტაპზე გვირაბის მომსახურებისთვის გათვალისწინებულია დაახლოებით 350 მ სიგრძის სამშენებლო შტოლნას მოწყობა. სადაწნეო გვირაბის მშენებლობის სრული ვადა, მათ შორის პარალელურად დაგეგმილი გამაგრება/მოპირკეთების პროცესისთვის გათვალისწინებულია 31 თვე.

სადერივაციო გვირაბიდან წყალი მიეწოდება სააგრეგატო შენობას, რომელიც მოეწყობა მდ. მულხურას მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1223 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-0308492; Y-4765283). ჰესის შენობა იქნება 4 სართულიანი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია, რომლის პირველ სართულზე განთავსდება 2 ძირითადი ტურბინა, მე-2 სართული წარმოადგენს ძირითადი სამუშაო პლატფორმას და მასზე განთავსებული იქნება მცირე ტურბინა, მე-3 სართულზე განთავსებული იქნება ამწე და გარდა აღნიშნულისა თითოეულ სართულზე ასევე განთავსდება ყველა საჭირო აღჭურვილობა, საოპერაციო და საკონტროლო ერთეულები. ჰესის შენობაში დამონტაჟდება 2 ერთეული 18.5 მგვტ სიმძლავრის ვერტიკალური ფრენისის ტიპის ტურბინა (საპროექტო წყლის ხარჯი თითოეულ ტურბინაზე 16.5 მ³/წმ) და ერთი 3.2 მგვტ სიმძლავრის ჰორიზონტალური ფრენისის ტიპის ტურბინა (საპროექტო წყლის ხარჯი 3,5 მ³/წმ). სამივე ტურბინის ჯამური სიმძლავრე იქნება 40.2 მგვტ. ჰესის მიერ გამოიმუშავებული წყლის

მდინარეში ჩაშვება გათვალისწინებულია დაახლოებით 25 მ სიგრძის, 14 მ სიგანის და 6 მ სიღრმის გამყვანი არხის საშუალებით.

დამბის ზედა ბიეფის მიმდებარე ფერდობების დატბორვის პრევენციის მიზნით გათვალისწინებულია რკინა-ბეტონის დამცავი კედლების მოწყობა, რომელთა ზედა ნიშნულები იქნება ზღვის დონიდან 1366,25 მ. მარჯვენა სანაპიროს დამცავი კედლის სიგრძე იქნება 31.7 მ, ხოლო საშუალო სიმაღლე საძირკვლიდან 7 მ. კედლის საძირკველი კლდოვან ქანებში ჩაღრმავებული იქნება 1 მ სიღრმეზე. საძირკვლის ძირის სიგანე გათვალისწინებულია 4.5 მ. მარცხენა სანაპიროს დამცავი კედელი მოეწყობა 24.6 მ სიგრძეზე. კედლის სიმაღლე და პარამეტრები კი იქნება მარჯვენა სანაპიროს კედლის იდენტური. დამცავი კედლების მოწყობა ასევე დაგეგმილია ძალური კვანძის მიმდებარე სანაპირო ზოლში საერთო სიგრძით 104.7 მ. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის კედლის სიმაღლე საძირკვლიდან იქნება საშუალოდ 6 მ. კედლის საძირკვლის კლდოვან ქანებში ჩაღრმავება დაგეგმილია 1 მ სიღრმეზე, ხოლო საძირკვლის სიგანე იქნება 4 მ.

ანგარიშის მიხედვით, ჰესის შენობის გვერდით დახურულ შენობაში გათვალისწინებულია 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა. ქვესადგურში გათვალისწინებულია 3 ერთეული 110 კვ ძაბვის ტრანსფორმატორის მოწყობა. ტრანსფორმატორები განთავსებული იქნება ავარიულად დაღვრილი ზეთის შემკრებ რკინა-ბეტონის ავზებზე. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ეგზ-ს მოწყობის პროექტი დამოუკიდებელი პროექტის სახით იქნება წარდგენილი სააგენტოში.

ავარიულ სიტუაციებში ჰესის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 200 კვა სიმძლავრის დიზელ-გენერატორის დამონტაჟება.

ჰესის სამშენებლო სამუშაოებისთვის სატრანსპორტო კვანძად გამოყენებული იქნება ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა და მდ. მულხურაზე არსებული ხიდი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ძალურ კვანძამდე მისასვლელად გამოყენებული იქნება სოფ. ლახუშდის გზა, საიდანაც ძალურ კვანძამდე და სამშენებლო შტოლნამდე საჭირო იქნება დაახლოებით 1020 მ ახალი გზის მოწყობა. 1200 მ სიგრძის გზა მოეწყობა საპროექტო სანაყაროებამდე მისასვლელად. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ასევე გათვალისწინებულია სატყეო გზების გამოყენება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდება გაფართოებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საპროექტო ჰესის სამშენებლო სამუშაოების ვადა განსაზღვრულია 36 თვით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორი სამშენებლო ბანაკის მოწყობა. N1 სამშენებლო ბანაკი მოეწყობა მდინარე მულხურას მარცხენა ნაპირზე, ძალური კვანძის მიმდებარედ სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 42.08.54.059; 42.08.54.238; 42.08.54.036; 42.08.54.436). ბანაკის ფართობი იქნება 17354 მ². N1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა: ინერტული მასალებისთვის განკუთვნილი დახურული საწყობი; ავტოსადგომი ტექნიკის და დანადგარებისთვის განთავსების უბნით; დამხმარე სახელოსნოები (ხის და ლითონის); ბეტონის კვანძი; 10 მ³ მოცულობის დიზელის საწვავის რეზერვუარი; ასაფეთქებელი ნივთიერებების დახურული საწყობი; დაცვის პუნქტი; სანიტარული კვანძი; საერთო საცხოვრებელი და საოფისე სივრცეები. დიზელის რეზერვუარის განთავსების მოედანი დაფარული იქნება ბეტონის საფარით და გაუკეთდება წყალგაუმტარი ფენით დაფარული შემოზღუდვა. ასაფეთქებელი მასალების დახურული საწყობი განთავსებული იქნება მოსახლეობიდან და ბანაკის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურიდან მოშორებით. აღნიშნული სამშენებლო ბანაკიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 120 მეტრში.

N2 სამშენებლო ბანაკი მოეწყობა მდინარე მულხურას მარცხენა ნაპირზე, სათავე კვანძის მიმდებარედ 4689 მ² ფართობის მქონე ტერიტორიაზე. შერჩეული ტერიტორია განთავსებულია სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 42.06.49.479; 42.06.49.060; 42.06.49.171; 42.06.49.059; 42.06.51.407). ტერიტორიაზე განთავსებული იქნება სამშენებლო მასალების საწყობი, ტექნიკის სადგომი,

დამხმარე საამქროები, დაცვის პუნქტი და სანიტარული კვანძი. აღნიშნული სამშენებლო ბანაკიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 47 მეტრში.

სამშენებლო შტოლნასთან მოწყობა სამშენებლო მოედანი (ს/კ: 42.08.54.157; 42.08.54.368), სადაც განთავსებული იქნება ტექნიკის სადგომი, კონტეინერული ტიპის სათავსები და გვირაბის გაყვანისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

ბეტონის კვანძის წარმადობა იქნება 60 მ³/სთ, რომელიც წელიწადში იმუშავებს მაქსიმუმ 114 დღის განმავლობაში. სამუშაო რეჟიმი იქნება ერთცვლიანი, ცვლის ხანგრძლივობა 8 სთ. ბეტონის კვანძი წარმოადგენს ასაწყობ სტაციონარულ ნაგებობას, რომლის კომპლექსშიც შედის: ღორღის მიმღები ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორი, ცემენტის სილოსი, ბეტონშემრევი, ოპერატორის კაბინა, ავტომატური მართვის სისტემით. სილოსი აღჭურვილია შესაბამისი სასილოსე ფილტრით (ეფექტურობა 99.8 %).

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ფუჭი გრუნტის წარმოქმნა ძირითადად მოსალოდნელია, სადაწნეო გვირაბის მოწყობისას, სათავე ნაგებობის და ჰესის შენობის მოწყობის პროცესში. გამონამუშევარი ფუჭი ქანების რაოდენობა იქნება დაახლოებით 364500 მ³. ამოღებული გრუნტის ნაწილი დაახლოებით 145800 მ³ გამოყენებული იქნება უკუყრისთვის და მისასვლელი გზების მოწყობა-მოწესრიგებისთვის. შესაბამისად ნამეტი გრუნტის რაოდენობა იქნება 218700 მ³. ფუჭი ქანების განთავსებისთვის მდ. მულხურას მარცხენა სანაპიროზე შერჩეულია 3 ტერიტორია. N1 სანაყაროს ფართობი იქნება 35466 მ²-ს (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-310004, Y-4766077; X-309795, Y-4765861). N2 სანაყაროს - 8238 მ² (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-310401, Y- 4766116; X-310257, Y-4766069), N3 სანაყაროს - 3969 მ² (მიახლოებითი GPS კოორდინატები: X-310697, Y-4766320; X-310831, Y-4766345). სამივე სანაყარო მდებარეობს ლენჯერის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში, მდ. მულხურას მარცხენა მხარეს, სანაპიროდან არანაკლებ 20 მ-ის დაცილებით. საჭიროების შემთხვევაში, მდინარის სანაპიროს მხარეს გათვალისწინებული იქნება ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა. წარმოდგენილი ინფორმაციით სანაყაროებისთვის შერჩეული ტერიტორიების გამოყენება მოხდება კერძო მფლობელებთან შეთანხმების საფუძველზე.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა დაგეგმილია სამშენებლო ბანაკების, მისასვლელი გზების, ფუჭი ქანების სანაყაროების, ძალური კვანძის, სათავე ნაგებობის და შტოლნის სამშენებლო მოედნებზე. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სავარაუდო მოცულობა იქნება 11142 მ³. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება გათვალისწინებულია N3 სანაყაროს ტერიტორიაზე გამოყოფილ ცალკე უბანზე 910 კვ.მ ფართობზე. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და რეკულტივაცია განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. მოხსნილი ნაყოფიერი ფენა სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.

მულხურა ჰესის ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დასადგენად, გამოყენებულია ჰიდროლოგიურ სადგურზე №81 (მდ. მულხურა) 1962 - 1986 წლებში და ჰიდროლოგიურ სადგურზე №83 (მდ. მესტიაჭალა) 1939 – 2014 წლებში აღრიცხული დღიური ხარჯების მონაცემები. გზმ-ის ანგარიშში მოცემულია საპროექტო კვეთში მდ. მულხურას სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის საშუალო, მინიმალური, მაქსიმალური სხვადასხვა უზრუნველყოფის (10%, 50%, 75% და 95%) ხარჯების შიდაწლიური განაწილებისა და მდინარის ეკოლოგიური ხარჯის სიდიდის (2.2.მ³/წმ) შესახებ ინფორმაცია, რაც მდ. მულხურას საშუალო მრავალწლიური ხარჯის (22 მ³/წმ) 10%-ია. ასევე წარმოდგენილია ჰესის მიერ ასაღები წყლის ხარჯები ეკოლოგიური ხარჯის დატოვების გათვალისწინებით.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია. საკვლევი რეგიონის ფარგლებში, ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს მეოთხეული, ცარცული და იურული ასაკის ფორმაციები. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად

საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა ორი ჭაბურღილი სიღრმით 170 და 200 მ. შესწავლილ ტერიტორიაზე საველე და ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია ხუთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – სგე 1 - თიხნარი, ყავისფერი, მყარი, ღორღის და მც. ფესვების ჩანართებით; სგე 2 - ქვიშაქვა, ნაცრისფერი, გამოფიტული, დანაპრალიანებული, წვრილმარცვლოვანი ტერიგენულ-კლასტური ქანი, წარმოდგენილია ალევროლითის სახით. ნაპრალები შევსებულია თიხით და მარილებით; სგე 3 - ფიქალი, ნაცრისფერი და მუქი ნაცრისფერი, ძლ. დანაპრალიანებული, ძლ. გამოფიტული, ფილიტიზირებული და იშვიათად გაკვარცხებული, სხვადასხვა შრეებრივი, ფიქლებრივი ტექსტურის, ალევრო-პელიტური სტრუქტურის; სგე 4 - ფიქალი, ნაცრისფერი და მუქი ნაცრისფერი, დანაპრალიანებული, გამოფიტული, ფილიტიზირებული და იშვიათად გაკვარცხებული, სხვადასხვა შრეებრივი, ფიქლებრივი ტექსტურის, ალევრო-პელიტური სტრუქტურის; სგე 5 - ფიქალი, ნაცრისფერი და მუქი ნაცრისფერი, სუსტად დანაპრალიანებული, სუსტად გამოფიტული, ფილიტიზირებული და იშვიათად გაკვარცხებული, სხვადასხვა შრეებრივი, ფიქლებრივი ტექსტურის, ალევრო-პელიტური სტრუქტურის. საკვლევ ტერიტორიაზე ასევე განხორციელდა კლდოვანი ქანების გეომექანიკური კვლევა. ჩატარებული კვლევების მიხედვით გამოიყო 9 ფენა: 1) ფიქლები; 2) ფიქლები, ქვიშაქვები და თიხაფიქლები; 3) ფიქლები და ქვიშაქვები; 4) პროლუვიური ნალექები; 5) კოლუვიური და ალუვიური ნალექები (შერეული წარმოშობის ნალექები); 6) კოლუვიური ნალექები; 7) მდინარის ტერასების ნალექები; 8) ალუვიური ნალექები და 9) ტექნოგენური გრუნტი.

საშიში გეოლოგიური პროცესებიდან, ძირითადად გვხვდება ნაპირების ეროზიული გარეცხვის უბნები, მეწყრულ-გრავიტაციული პროცესები, თოვლის ზვავების წარმოქმნის რისკები და ღვარცოფული მოვლენები. ანგარიშის თანახმად, კაშხლის ტიპი და კონფიგურაცია შერჩეულია ისე, რომ მაღალი ხარჯის პირობებში ქვატალახიანი მასა გატარდეს ქვედა ბიეფში და შემცირდეს მისი დაზიანების ალბათობა. შესწავლილი უბანი საქართველოს სეისმური დარაიონების მიხედვით მიეკუთვნება 9 ბალიან ზონას. ბურღვითი სამუშაოების პერიოდში, ჩატარებული იქნა წყლის ჩაჭირხვნის ტესტები კვლევის შედეგების მიხედვით, გვირაბის ირგვლივ ქანების მასის შეღწევადობა შეფასებულია როგორც საშუალო. წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს ინფორმაციას ჰესის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების, რეკომენდაციების და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის სამშენებლო სამუშაოების ინჟინერ-გეოლოგის მიერ მკაცრი მეთვალყურეობის, ნაპირდაცვითი სამუშაოების, საჭიროების შემთხვევაში გამაგრებითი სამუშაოების და სხვა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარების შესახებ.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის შესახებ ინფორმაცია და სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები. პროექტის განხორციელებისას, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ანგარიშის თანახმად, უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სახეობის და სახიფათობის მიხედვით. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილ იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენების დასაწყობება მოხდება სპეციალურ სათავსში, რომელიც შემდგომი მართვისთვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც აღწერილია პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების სახეობები, რაოდენობები და მართვის საკითხები.

გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. გზშ-ის ანგარიშში, წარმოდგენილია ინფორმაცია ჩატარებული კვლევების მეთოდოლოგიის, შედეგების, შემარბილებელი/საკომპენსაციო და სარეკომენდაციო ღონისძიებების შესახებ. გზშ-ის ანგარიშში, ასევე მოიცავს ინფორმაციას სენსიტიური ჰაბიტატების და სხვადასხვა კონსერვაციული ღირებულების მქონე მცენარეთა თანასაზოგადოებებისა და სახეობების შესახებ, მათ შორის წითელი ნუსხით დაცული, ენდემური და სხვა იშვიათი სახეობის შესახებ.

კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფლორისტული შეფასება მოიცავდა გავლენის ზონაში არსებულ მცენარეთა იდენტიფიკაციას, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გავრცელებული მცენარეული სახეობების გამოვლენას და წითელი ნუსხის მიხედვით საფრთხეში მყოფი მცენარეული სახეობების დაფიქსირებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System) თერთმეტი ტიპის ჰაბიტატი. ჰაბიტატები ნაწილობრივ სახეცვლილია ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების შედეგად. ტერიტორია განიცდის ანთროპოგენულ გავლენას (ტყის ჭრა, ძოვება, მეორადი სამანქანო გზები). რამდენიმე ჰაბიტატი დაცულია ბერნის კონვენციით. სავსე კვლევის დროს აღიწერა წიფლნარ-რცხილნარის ტყე, წიფლნარი ტყე, მურყნარი ჭალა (ჭალებში გაბატონებულია ნაცარა მურყანი), საპროექტო არეალში ბევრგანაა განვითარებული მეორადი მურყნარები, ფრაგმენტულად განვითარებულია ნაძვნარი ტყეები, მნიშვნელოვან ფართობებზე ვრცელდება მეზოფილური ფოთოლმცვენი ბუჩქნარები, ბუჩქნარებში ერთეულებადაა შერეული ახალგაზრდა ხე-მცენარეები. სანაყაროების და სამშენებლო ბანაკებისთვის გათვალისწინებულ ტერიტორიებზე უმეტესად წარმოდგენილია მეორადი მეზოფილური მდელოები. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მცენარეულ საფარსა და ჰაბიტატის მთლიანობაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 49129 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, მესტიის სატყეო უბნის მესტიის სატყეოს, კვარტალი N32-სა და ლატალის სატყეოს კვარტალს N18;19;20;21;25. სანაყაროები არ მდებარეობს სახელმწიფო ტყეში. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ფაუნის შესახებ, კონკრეტული სახეობებისა და მათი გავრცელების კოორდინატების მითითებით. ფაუნის კვლევის მიზანი იყო საპროექტო ტერიტორიაზე ძუძუმწოვრების, ხელფრთიანების, ფრინველების, ქვეწარმავლების, ამფიბიების და ხმელეთის უხერხემლოების სახეობრივი მრავალფეროვნების დადგენა. შესაძლო შემაწუხებელი ფაქტორების და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა. პროექტის ფარგლებში სავსე კვლევები განხორციელდა 2022 წლის შემოდგომაზე და 2024 წლის ზაფხულში. სავსე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული ინფორმაციის დამუშავების შედეგად საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 30-ზე მეტი, ხელფრთიანების 15-მდე, ფრინველების 90-მდე, ქვეწარმავლების და ამფიბიების 15, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ლიტერატურული წყაროების და ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით საკვლევ არეალში დაცული სახეობებიდან გავრცელებულია მურა დათვი (*Ursus arctos*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), არჩვი (*Rupicapra rupicapra*) და წავი (*Lutra lutra*). ფრინველების დაცული სახეობებიდან საპროექტო ტერიტორიაზე ხვდება: ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*), ველის (ან გრძელფეხა) კაკაჩა (*Buteo rufinus*), ველის არწივი (*Aquila nipalensis*) და ჩვეულებრივი გვრიტი (*Streptopelia turtur*). კვლევის პერიოდში დაცული სახეობებიდან საკვლევ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა არცერთი სახეობა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ფაუნაზე უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: მდინარის სიახლოვეს ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების პერიოდი შეძლებისდაგვარად შეირჩევა ისე, რომ არ დაემთხვეს წავის გამრავლების პერიოდს; დაცული იქნება სამშენებლო დერეფანი, რათა მიწის სამუშაოები არ გაცდეს მონიშნულ ზონას და არ მოხდეს ცხოველთა ბუნაგების, სოროების, ფრინველების ბუდეების დამატებითი

დაზიანება; ორმოები, ტრანშეები და სხვა შემოზღუდული იქნება რაიმე წინააღმდეგობით ცხოველების შიგ ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის ნოემბერსა და 2024 წლის ივლისში ჩატარდა იქთიოლოგიური საველე კვლევითი სამუშაოები, საველე კვლევითი სამუშაოების დროს შეფასდა ჰიდრობიონტების საცხოვრებელი გარემოს ფონური მდგომარეობა. სამუშაოები მოიცავდა წყლის ხარისხის კვლევას, თევზების საკვებისა და მათი ინდივიდების დაფიქსირებას. როგორც კამერალური ისე საველე კვლევით დგინდება, რომ საპროექტო მონაკვეთში გავრცელებულია ერთი სახეობის თევზი, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ნაკადულის კალმახი (*Salmo labrax*). ნოემბრის თვეში განხორციელებული თევზჭერების შედეგად, იქთიოფაუნის მოპოვება ვერ მოხერხდა, ხოლო ივნისის თვეში ჩატარებული თევზჭერის შედეგად, მოპოვებული იქნა 2 ერთეული ნაკადულის კალმახი.

გზმ-ის ანგარიშში შეფასებულია იქთიოფაუნაზე, მიწისქვეშა წყლების ხარისხსა და ზედაპირული წყლის (მდ. მულხურა) ობიექტზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები, მათ შორის: თევზსავალის და თევზამრიდის მოწყობა; სათავე კვანძის სამშენებლო სამუშაოების პროცესში მიღებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები, რათა არ მოხდეს მდინარის ნაკადის ფართოდ გაშლა (შესაბამისად წყლის სიღრმის შემცირება) ან/და საერთო ნაკადისგან განცალკევებით მცირე გულბურების წარმოქმნა; ხელოვნური კალაპოტის მდინარის ბუნებრივ კალაპოტთან შეუღლების ადგილები მოეწყობა ისე, რომ არ შეიქმნას ხელოვნური ბარიერი თევზების მიგრაციისთვის; სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები შესრულდება მშრალ კალაპოტში, რისთვისაც მოხდება დროებითი ყრილის მოწყობა. ჰესის ექსპლუატაციისას კაშხლის ქვედა დინებაში მდინარის ეკოლოგიური ხარჯის მუდმივი შენარჩუნება და სხვა. ამასთან იქთიოფაუნაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია მდინარე მულხურას დათევზიანება.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეჩერდება სამუშაოები და ეცნობება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღისარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში ადგილი ექნება ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას. რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება მშენებლობის პროცესში გამოყენებულ სამშენებლო ტექნიკასთან ასევე ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოებასთან. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სამშენებლო ტექნიკიდან გავრცელებული ხმაურის დონეების შესახებ ინფორმაცია და ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჰესის მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება: ჰიდრაულიკური ექსკავატორი, ავტოთვითმცლელი, ავტოდამტვირთველი, ავტობეტონშემრევი, ბულდოზერი, ამწე მექანიზმი, ვიბრაციული სატკეპნი და ბეტონის კვანძი. ხმაურის გავრცელების სიდიდეების შესაფასებლად მოხდა სამშენებლო ბანაკების ცალკეულ უბნებად განხილვა. ანგარიშში მოცემული გათვლების მიხედვით, სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან მოსალოდნელი ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან (47 მ) იქნება 64,4 დბა, ხოლო ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან მოსალოდნელი ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან (47 მ) იქნება 59,5 დბა, რაც თითოეულ შემთხვევაში აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ანგარიშის თანახმად, ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება შესრულებულია ყველაზე უარესი სცენარის მიხედვით, როცა ერთდროულად მუშაობს არსებული ყველა აგრეგატი და ტექნიკა. ამასთან,

ზემოქმედების შემცირების მიზნით, გზმ-ის ანგარიშში მოცემულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის შედარებით ერთდროულად მომუშავე ხმაურწარმომქმნელი წყაროების რაოდენობის შემცირება, უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა, საცხოვრებელი ზონის სიახლოვეს ხმაურიანი სამუშაოების დაწყებამდე მოხდება მოსახლეობის გაფრთხილება და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მიცემა, სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იქნება შედარებით დაბალი ტურისტული აქტივობის პერიოდში და სხვა. ამასთან, ზემოქმედება იქნება დროებითი და მოკლევადიანი, სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში, ამასთანავე საცხოვრებელ ზონებსა და სამშენებლო მოედნებს შორის არსებული ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები გარკვეულად შეამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების დროს მოსალოდნელია ვიბრაციის და ხმაურის გავრცელება. ვინაიდან გვირაბის ღერძის დაცილება მიწის ზედაპირიდან შეადგენს 50-293 მ-ს, ვიბრაციის და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება ძირითადად მოსალოდნელია გვირაბის შესასვლელი პორტალის სამუშაოებისას, ანგარიშის თანახმად, სამშენებლო-სამუშაოები, მათ შორის ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები იწარმოებს დღის საათებში, ხოლო აფეთქების სამუშაოების დაწყებამდე მოხდება მოსახლეობის გაფრთხილება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროები განთავსებული იქნება მხოლოდ N1 სამშენებლო ბანაკში, სადაც მოეწყობა ავტოსადგომი და ბეტონის კვანძი თავისი ინფრასტრუქტურით, ასევე მექანიკური საამქრო. ანგარიშში იდენტიფიცირებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები, ასევე ასახულია ბანაკის ფუნქციონირებისას გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი სახის მავნე ნივთიერებები: რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, აზოტის (II) ოქსიდი, ნახშირბადი (ჰვარტლი), გოგირდის დიოქსიდი (გოგირდის - ანჰიდრიდი), ნახშირბადის ოქსიდი, აირადი ფტორიდები, სუსტად ხსნადი ფტორიდები, ნავთის ფრაქცია, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C₁₂-C₁₉), შეწონილი ნაწილაკები და არაორგანული მტვერი (70-20% SiO₂). ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას ფონის სახით გათვალისწინებულია ჰესის ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების მუშაობისას გაფრქვეული მავნე ნივთიერებები.

წარმოდგენილი გაბნევის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს როგორც ობიექტებიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ასევე უახლოესი სახლის საზღვარზე (პირდაპირი მანძილი სამშენებლო ბანაკიდან 120 მ, ხოლო შეწონილი ნაწილაკების მაქსიმალური კონცენტრაცია, ზდგ-ს წილი 0.283მგ/მ³). ამდენად სამშენებლო ბანაკის ფუნქციონირება საშტატო რეჟიმში არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პირობებში მოსალოდნელია წყლის გაჟონვა გვირაბიდან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს არსებული წყაროების დებეტზე, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჰესის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, იდენტიფიცირებული იქნება გვირაბის დერეფნის ქვედა ნიშნულზე არსებული მიწისქვეშა წყაროები, მათ შორის შერჩეული იქნება 2-3 წყარო განისაზღვრება მათი დებეტები, ქიმიური და მიკრობიოლოგიური მახასიათებლები. მშენებლობის მთელი პერიოდის და შემდეგ ექსპლუატაციის პირველი სამი წლის განმავლობაში კვარტალში ერთხელ ჩატარდება აღნიშნული წყაროების სინჯების ლაბორატორიული კვლევა. წყაროების დაკარგვის ან ხარისხის გაუარესების შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ამასთან, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ექსპლუატაციის ეტაპზე

ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შემცირების მიზნით შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: დამყარდება კონტროლი ჰესების ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გატარებაზე და უზრუნველყოფილი იქნება მონაცემების სისტემატური აღრიცხვა; მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის ტოლი ან მასზე ნაკლები ხარჯის მოდინების შემთხვევაში მოხდება ჰესის მუშაობის შეჩერება და მოდინებული წყლის ხარჯი სრულად გატარდება სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში; უზრუნველყოფილი იქნება იქთიოფაუნაზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში მიღებული იქნება გადაწყვეტილება ეკოლოგიური ხარჯის კორექტირების თაობაზე, ექსპლუატაციის პროცესში საჭირო ზეთების შენახვის და გამოყენების წესების დაცვის ოპტიმიზაციის მიზნით, ძალური კვანძის ტერიტორიაზე მოეწყობა სასაწყობო უბნები, რომელიც აღჭურვილი იქნება ზეთების დაღვრის და ტერიტორიაზე გავრცელების საწინააღმდეგო საშუალებებით და სხვა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჰესის მშენებლობის პერიოდში წყლის გამოყენება მოხდება ბეტონის ნარევის დასამზადებლად, სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და მშრალ ამინდებში სამშენებლო მოედნების და მისასვლელი გზების დასანამად, ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო, აგრეგატების გაგრილებისა და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. ექსპლუატაციის ეტაპისათვის ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის ჰესის შენობის ტერიტორიაზე მოეწყობა საასენიზაციო ორმო. ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის ტექნიკური წყლით მომარაგება მოხდება მდ. მულხურას წყლით, ტუმბო დანადგარის საშუალებით (წყალაღების კოორდინატები X-307878; Y-4764917), ხოლო სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკის წყალმომარაგება განხორციელდა წყალსადენის ქსელიდან. სასმელად გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი. წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვისათვის სამშენებლო ბანაკების ტერიტორიებზე დაგეგმილია საასენიზაციო ორმოს მოწყობა, ხოლო სამშენებლო მოედნების ტერიტორიაზე განთავსდება ბიოტუალეტები. საასენიზაციო ორმოების პერიოდული გაწმენდა მოხდება სპეც-ავტომობილის საშუალებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გვირაბის პორტალებიდან სადრენაჟო წყლების გაწმენდისათვის გათვალისწინებულია ორი სალექარის მოწყობა. თითოეული სალექარის მოცულობა იქნება 210 მ³. გაწმენდის შემდეგ წყლები ჩაშვებული იქნება მდ. მულხურაში. (წყალჩაშვების კოორდინატები: სათავე ნაგებობასთან X-314142; Y-4767841; ძალური კვანძის სამშენებლო შტოლნასთან X- 308650; Y- 4765312). გაწმენდილ ჩამდინარე წყლებში შეწონილი ნაწილაკების შემცველობა არ იქნება 60 მგ/ლ-ზე მეტი, ხოლო გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგი ჩატარდება კვარტალში ერთხელ შეწონილი ნაწილაკების შემცველობაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მულხურა ჰესის ნაგებობების განთავსების არეალში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რაიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტის სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს და შესაბამისად მშენებლობასთან დაკავშირებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, მულხურა ჰესის ექსპლუატაციის პროცესში შესაძლო კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ზედა დინებაში არსებულ მესტიაჭალა 2 ჰესის ფუნქციონირებით. ექსპლუატაციის ფაზაზე მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე ზემოქმედებას ადგილი ექნება დაახლოებით 6.5-7 კმ სიგრძის მონაკვეთზე (მულხურა ჰესის სათავე ნაგებობასა და გამყვან არხს შორის). მულხურა ჰესის სათავე ნაგებობა მეტიაჭალა 2 ჰესის გამყვანი არხიდან დაცილებულია დაახლოებით 9 კმ-ით. ექსპლუატაციის ფაზაზე მაღალი იქნება წყლის ბიოლოგიურ გარემოზე და წყალთან დაკავშირებულ სახეობებზე კუმულაციური ზემოქმედების რისკი. როგორც ანგარიშშია აღნიშნული სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში მუდმივად გატარებული იქნება ეკოლოგიური ხარჯი 2.2 მ³/წმ-ის რაოდენობით, რასაც დაემატება საპროექტო მონაკვეთზე არსებული მცირე შენაკადების ხარჯები. ამასთან ზემოქმედების შემცირების მიზნით, მულხურა ჰესის სათავე ნაგებობა აღჭურვილი იქნება თევზსავალი და თევზამრიდი ნაგებობებით. მყარი ნატანის ტრანსპორტირებაზე კუმულაციურ ზემოქმედებაზე გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამგვარი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან სათავე კვანძი აღჭურვილია გამრეცხი ფარებით, რომელიც წყალუხვობის პერიოდში გაიხსნება და გაატარებს ნატანს ქვედა ბიეფის მიმართულებით. ასევე წელიწადში ორჯერ ჩატარდება მონიტორინგი

სათავე კვანძის კვეთებში ნატანის გატარებასთან დაკავშირებით. ზემოქმედების რისკების მინიმუმამდე შემცირების მიზნით გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 10 და 11 ოქტომბერს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში და მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის თემის პირველი საჯარო სკოლის და ლატალის თემში არსებული გურამ თიკანაძის სახელობის სპორტული კომპლექსის შენობებში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „აი ჯი ენერჯის“, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. პრეზენტაციის წარდგენის შემდგომ სხდომა გადავიდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საჯარო განხილვაზე დასმული კითხვები ეხებოდა გვირაბის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით გამოწვეულ ზემოქმედებას, ადგილობრივების დასაქმებას, არსებული ხიდების და გზების რეკონსტრუქციას, სამშენებლო სამუშაოების ვადებს, მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე ზემოქმედებას, ეროზიული პროცესების გააქტიურებას, სანაყაროებისთვის განკუთვნილი ტერიტორიების საკუთრების საკითხს, მშენებლობის ეტაპზე სასტუმროების ფუნქციონირების საკითხს, მდინარეში დატოვებულ წყლის ხარჯს, სოციალურ საკითხებს და სხვა. დასმულ საკითხებზე განმარტებები გაკეთდა შპს „აი ჯი ენერჯის“ და შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლების მიერ. საჯარო განხილვაზე გამოთქმული კითხვები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვის სხდომის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიიდან გადმოგზავნილ იქნა (წერილი 134-1342430333 29/10/2024) მესტიის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება გზშ-ის დოკუმენტის გაცნობის საფუძველზე გამოკვეთილი, რიგი საკითხების დამატებით შესწავლა/განხილვის შესახებ, რომელიც ეხება საქმიანობის შედეგად გამოწვეულ ვიზუალურ ზემოქმედებას, გეოდინამიკურ პროცესებს, მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას, საოჯახო სასტუმროებზე უარყოფითი ზემოქმედების საკითხებს. აღნიშნული ერთობლივი განცხადება ასევე წარმოდგენილ იქნა სააგენტოში. გარდა ამისა სააგენტოში წარმოდგენილია ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქის განცხადება, რომელიც ეხება პროექტით გათვალისწინებული სანაყაროს ტერიტორიის გამოყენებისა/ცვლილებისა და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე უარის საკითხს.

ზემოაღნიშნული საკითხები ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე განხილული იქნა შპს „აი ჯი ენერჯის“ მიერ. წარმოდგენილ შენიშვნებზე, კომპანიის წერილის (N11113 19.11.2024) თანახმად, შპს „აი ჯი ენერჯის“ არ მიუმართავს არც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის და არც სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსათვის მითითებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის შეზღუდვის ან აკრძალვის მოთხოვნით, ამასთან კომპანიას სანაყაროს ტერიტორიას გამოიყენებს მხოლოდ მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ჰესის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 3 წლის განმავლობაში, ხოლო ბეტონის კვანძი და შესაბამისად აღნიშნული გაფრქვევის წყაროები იმუშავებს წელიწადში მაქსიმუმ 114 დღის განმავლობაში, გაანგარიშების შედეგად მიღებული უახლოესი საცხოვრებელი ზონის ტერიტორიაზე მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციები არ აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. საპროექტო არეალში ჩატარებულია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა და იდენტიფიცირებულია საშიში გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით რისკის მქონე უბნები,

მეწყურული სხეულის გააქტიურების პრევენციის მიზნით, პროექტი ითვალისწინებს დამბის ზედა ბიეფში ნაპირსამაგრი კედლის მოწყობას. გარდა აღნიშნულისა მშენებლობის დაწყებამდე მოხდება მიმდებარე ფერდობებზე აქტიურ დინამიკაში არსებული ლოდების მოცილება (ფერდობების ჩამოწმენდა) და საჭიროების შემთხვევაში ფერდობების გამაგრება მავთულის ფოლადის ბადის გამოყენებით. ამასთან, დაგეგმილია მუდმივი გეოდინამიკური მონიტორინგის წარმოება, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდში. ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება შედარებით მაღალი იქნება სათავე ნაგებობის მოსაწყობად საჭირო სამუშაოების შესრულების დროს. ტურისტულ პოტენციალზე ნეგატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, საქმიანობის განხორციელებელი კომპანია, შპს „აი ჯი ენერჯი“ იღებს ვალდებულებას საქმიანობის გრაფიკი და პირობები შეათანხმოს გავლენის ზონაში მოქცეულ მეწარმეებთან. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შენიშვნებთან დაკავშირებით განმარტებები მოცემულია დანართის სახით.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის და II დანართის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება მესტიის მუნიციპალიტეტში, შპს „აი ჯი ენერჯის“ მდინარე მულხურაზე 40.2 მგვტ სიმძლავრის „მულხურა ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშზე თანდართული (დანართები) დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმებისა და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად;
4. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების არეალებში დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების ჩატარება, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით. აღნიშნულის გათვალისწინებით უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების წარმოება;
5. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ უზრუნველყოს ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ზონაში და მათ მიმდებარე საშიშ გეოლოგიურ პროცესებზე მონიტორინგის წარმოება. საჭიროების შემთხვევაში, მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესებით დამაბულ უბნებზე დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
6. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ღვარცოფული მოვლენების და მასთან დაკავშირებული რისკების შეფასება/შესწავლა და აღნიშნული კვლევის საფუძველზე, მდ. მულხურას ხეობის შესაბამის ადგილას დისტანციური მეტეოროლოგიური სადგურისა და ღვარცოფულ-წყალმოვარდნის პროცესების ჩასახვის წინასწარი შეტყობინების სისტემის დამონტაჟების საჭიროების განსაზღვრა. კვლევის შედეგები და სისტემის დამონტაჟების საკითხი წარმოდგენილ იქნას სააგენტოში შესათანხმებლად;

7. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივად უზრუნველყოს წყლის ხარჯებისა და ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობაზე მონიტორინგი და შედეგების კვარტალში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად დაფიქსირდა წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, ჰესის ოპერირება განახორციელოს სააგენტოს მიერ დადგენილი გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად;
8. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს სათავე ნაგებობების (მ.შ. სალექარის), ძალოვანი კვანძისა და სანაყაროების გასწორებში წყლის ხარჯსა და დონეებს შორის დამოკიდებულების მრუდების სააგენტოში წარმოდგენა;
9. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს სათავე ნაგებობების (მ.შ. სალექარის) და ძალოვანი კვანძის მიდამოებში მდინარის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმეების ანგარიშის, ან აღნიშნულ უბნებზე არაგარეცხადი (კლდოვანი) ქანების არსებობის შესახებ სათანადო საინჟინრო-გეოლოგიური დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენა;
10. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს სადაწნეო გვირაბის გასწვრივ, მთის ფერდობზე წყაროების არსებობის/არარსებობის და მათი დებეტის შესახებ ინფორმაციის, ასევე გვირაბიდან შესაძლო ფილტრაციული მოვლენების მონიტორინგის გეგმის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
11. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ტურბინების შემოვლითი სისტემიდან ჰესის შენობის ქვემო ბიეფში გაშვებული წყლის ნაკადის ენერჯის ჩაქრობის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა.
12. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
13. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად, უზრუნველყოს N1 სამშენებლო ბანაკთან არსებულ უახლოესი სახლის საზღვარზე ყოველკვარტალური ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგი მავნე ნივთიერება მტვერზე (TSP). მონიტორინგი აწარმოოს სამუშაოების განხორციელებისას;
14. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს განახლებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე ასახული იქნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კუთხით განსახორციელებელი ქმედებების სააგენტოსთან ანგარიშგების პერიოდულობის საკითხი. მონიტორინგის გეგმაში ასევე აისახოს ბურღვა-აფეთქებით გამოწვეული ზემოქმედების შედეგად ცხოველთა მიგრაციის და ქცევის ცვლილებებზე დაკვირვების საკითხი. მონიტორინგის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;
15. **შპს „აი ჯი ენერჯიმ“** ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს მდინარის დათევზიანების გეგმა-გრაფიკის სააგენტოსთან შეთანხმება, რომელშიც ასახული იქნება შესაბამის კვლევაზე დაყრდნობით დასათევზიანებლად შერჩეული ჰაბიტატების დეტალური დახასიათება და დასათევზიანებელი ქვირითის რაოდენობა. დათევზიანება უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ასევე, აწარმოოს დათევზიანების ეფექტიანობის მონიტორინგი და შედეგების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოსთან შეთანხმებით განახორციელოს დასათევზიანებელი ადგილების ცვლილება;

16. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ინფორმაციის წარმოდგენა პროექტის გავლენის ზონაში დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში და ჰიდროელექტროსადგურის დამატებითი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობისას მოსაჭრელი ხე-მცენარეების ზუსტ მონაცემებზე, მათი რაოდენობის და მოცულობების მითითებით ე.წ ტყეკაფის უწყისი. უწყისში საჭიროა აისახოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა ნუსხა (სახეობების და ოდენობის მითითებით), რომლებიც დაექვემდებარება მოჭრას/ზემოქმედებას. აღნიშნული სახეობების მოჭრასთან დაკავშირებით ქმედებები საჭიროა განხორციელდეს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ კანონის შესაბამისად;
17. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ჭრას დაქვემდებარებული მცენარეთა სახეობების დათვალიერება, ფრინველთა ბუდეებისა და ხელფრთიანთა თავშესაფრების საპროექტო ტერიტორიაზე არსებობის დადგენის მიზნით. ასევე, უზრუნველყოს პროექტის განხორციელების ფარგლებში მცენარეული საფარის შენარჩუნება იმ უბნებში, სადაც გამოვლენილი იქნება ფულუროიანი ხეები. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას დამატებითი ინფორმაცია ხეების ჭრის შედეგად ცხოველებსა და ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შესაბამისი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ. სამშენებლო მოედნების რეკულტივაციისა და გამწვანებითი ღონისძიების განხორციელებისას უპირატესობა მიენიჭოს საპროექტო არეალში ბუნებრივად გავრცელებულ სახეობებს;
18. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროს დეტალური პროექტ(ებ)ის (shp ფაილებთან ერთად) სააგენტოსთან შეთანხმება. სანაყაროს/სანაყაროების მოწყობა უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტ(ებ)ის შესაბამისად;
19. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებით;
20. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
21. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა;
22. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სადაწნეო გვირაბის განთავსების არეალში არსებული შენობა-ნაგებობების აღწერა, მშენებლობის პროცესში განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
23. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;
24. შპს „აი ჯი ენერჯიმ“ მშენებლობის დაწყებისა და ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
25. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
26. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აი ჯი ენერჯის“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

27. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აი ჯი ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
28. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
29. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/749-21-4-202412301409>

